



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №3

2016 წლის 5 თებერვალი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით განკარგვის მიზნით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის, 25-ე მუხლის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფელ მლეთაში მდებარე საზოგადოებრივი საპირფარეოს, 60 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 71.62.47.450) -სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით განკარგვის მიზნით, გამოაცხადოს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი;

2. ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 2600 ლარით წელიწადში;

3. ქირავნობის ვადა განისაზღვროს ხელშეკრულებით.

4. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.